

შპს „ფარმაქსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და კონსოლიდირებული
მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის,

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
მმართველობის ანგარიშგება	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ფარმაქსის მენეჯმენტს და დამფუძნებელს,

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, “უარყოფითი მოსაზრების საფუძველის” აზრებში განხილული საკითხების მნიშვნელოვნების გამო, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ საანგარიშგებო თარიღის შემდგომ და შესაბამისად, ვერ შევძელით დავსწრებოდით მარაგების და ძირითადი საშუალებების ფიზიკური ინვენტარიზაციის პროცესს 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღისათვის არსებული მარაგების ფულის და ფულის ექვივალენტების და ძირითადი საშუალებების რაოდენობების სისწორეში, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 1,618,485(2022: 3,609,355ლარი) ლარის მარაგები და 6,212,455 (2022: 62,249,467 ლარი) ლარის ოდენობით ძირითადი საშუალებები.

აუდიტის ჩატარების პროცესში, ჩვენ ვერ მივიღეთ დასტურის წერილები მესამე მხარეებისგან, კერძოდ, სავაჭრო მოთხოვნებთან და სავაჭრო ვალდებულებებთან დაკავშირებით. სხვა ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით აგრეთვე ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტისთვის საჭირო მტკიცებულებები. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავადგინეთ, საჭიროა თუ არა ამ თანხების კორექტირება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რომ კომპანიას ყველა საექვო მოთხოვნაზე დარიცხული აქვს ანარიცხი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. გამომდინარე აქედან, ჩვენ ვერ ვადასტურებთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიზუსტეს.

კომპანიას არ აქვს იჯარები აღრიცხული ფასს 16 იჯარის შესაბამისად, რაც წამოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების უგულველყოფას.

კომპანიას არ აქვს წარდგენილი ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“-ის შესაბამისი სრულიყოფილი ინფორმაცია, რაც წამოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების უგულველყოფას.

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სხვა რეზერვები 14,795,712 ლარის ოდენობით, რომელთა დაკავშირებითაც ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რათა დავრწმუნებულიყავით რომ ეს ოპერაციები და ნაშთები წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების სართაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა “ბუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი საკითხების შესახებ.

აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების განხილვა არის მას შემდეგ, რაც იგი ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი და ამის შემდგომ გამოცხატავთ აზრს არის თუ არა სხვა ინფორმაცია მატერიალურად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში, ან აუდიტის დროს მიღებულ ინფორმაციასთან, ან ადგილი თუ ექნება მატერიალურ უზუსტობებს და წარმოვადგენთ შესაბამის ანგარიშს.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი მოსაზრება შემდეგია:

- ჩვენი უარყოფითი დასკვნიდან გამომდინარე, უაყოფით მოსაზრებას გამოვთქვამთ კოსნოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზეც.

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დამტკიცების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების

გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

რეგისტრირებული აუდიტორი როინ ლელუაშვილი - SARAS-A-170985

შპს „ცერცვაძე და კომპანია“

5 თებერვალი 2025

თბილისი, საქართველო

გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

რეგისტრირებული აუდიტორი როინ ლელუაშვილი- SARAS-A-170985

შპს „ცერცვაძე და კომპანია“

5 თებერვალი 2025

თბილისი, საქართველო



Handwritten signature in blue ink.

შპს ფარმაქსი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22
ძირითადი საშუალებები	5	20,561,606	20,205,577
არამატერიალური აქტივები		198,440	716,914
გრძელვადიანი ინვესტიციები		3,597,597	-
გაცემული სესხები		-	6,095,552
სულ გრძელვადიანი აქტივები		24,357,643	27,018,043
გაცემული სესხები	6	4,575,293	8,055,955
მარაგები		2,922,713	5,519,738
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	21,735,306	40,225,030
საგადასახადო აქტივი		32,225	11,109,116
ფულადი სახსრები და მათეი ეკვივალენტები	8	238,373	4,788,784
სულ მიმდინარე აქტივები		29,503,910	69,698,623
მთლიანი აქტივები		53,861,553	96,716,666
საწესდებო კაპიტალი		1,539,357	2,000
დაუფარავი ზარალი		29,542,518	29,382,851
სხვა რეზერვები		(12,057,824)	-
არამაკონტროლებელი წილი		(1,375,905)	(1,404,082)
სულ კაპიტალი		17,648,146	27,980,769
მიღებული სესხები	9	17,298,710	44,664,256
საიჯარო ვალდებულებები		-	67,273
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		17,298,710	44,731,529
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	13,127,697	11,117,411
მიღებული სესხები	9	5,787,000	12,886,957
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		18,914,697	24,004,368
სულ ვალდებულებები		36,213,407	68,735,897
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		53,861,553	96,716,666

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 5 თებერვალს:

კონსტანტინე მარდალავიშვილი

დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-31 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს ფარმაქსი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22
ძირითადი საშუალებები	5	20,561,606	20,205,577
არამატერიალური აქტივები		198,440	716,914
გრძელვადიანი ინვესტიციები		3,597,597	-
გაცემული სესხები		-	6,095,552
სულ გრძელვადიანი აქტივები		24,357,643	27,018,043
გაცემული სესხები	6	4,575,293	8,055,955
მარაგები		2,922,713	5,519,738
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	21,735,306	40,225,030
საგადასახადო აქტივი		32,225	11,109,116
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	238,373	4,788,784
სულ მიმდინარე აქტივები		29,503,910	69,698,623
მთლიანი აქტივები		53,861,553	96,716,666
საწესდებო კაპიტალი		1,539,357	2,000
დაუფარავი ზარალი		29,542,518	29,382,851
სხვა რეზერვები		(12,057,824)	-
არამაკონტროლებელი წილი		(1,375,905)	(1,404,082)
სულ კაპიტალი		17,648,146	27,980,769
მიღებული სესხები	9	17,298,710	44,664,256
საიჯარო ვალდებულებები		-	67,273
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		17,298,710	44,731,529
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	13,127,697	11,117,411
მიღებული სესხები	9	5,787,000	12,886,957
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		18,914,697	24,004,368
სულ ვალდებულებები		36,213,407	68,735,897
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		53,861,553	96,716,666

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 5 თებერვალს:

კონსტანტინე მარდალავიშვილი

დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-31 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს ფარმაქსი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან		37,235,003	38,359,934
სხვა შემოსავალი		37,858	7,484,611
მთლიანი შემოსავალი		37,272,861	45,844,545
სამედიცინო მედიკამენტები		(10,432,452)	(8,723,243)
ხელფასები		(7,231,236)	(15,265,408)
ცვეთა და ამორტიზაცია		(936,715)	(678,753)
უიმედო და საექვო ვალების რეზერვი		(31,748)	-
სხვა ხარჯები	11	(17,293,549)	(12,806,990)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		1,347,161	8,370,151
ფინანსური შემოსავალი		25,566	-
ფინანსური ხარჯი		(767,645)	(437,600)
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი)		(417,238)	(2,345,320)
მოგება დაბეგვრამდე		187,844	5,587,231
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		187,844	5,587,231
მათ შორის:			
მფობელებზე		159,667	4,751,622
უმცირესობის წილი		28,177	835,610
სულ		187,844	5,587,232
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		187,844	5,587,232

კონსტანტინე მარდალეიშვილი

დირექტორი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-31 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს ფარმაქსი
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან		37,235,003	38,359,934
სხვა შემოსავალი		37,858	7,484,611
მთლიანი შემოსავალი		37,272,861	45,844,545
სამედიცინო მედიკამენტები			
ხელფასები		(10,432,452)	(8,723,243)
ცვეთა და ამორტიზაცია		(7,231,236)	(15,265,408)
უიმედო და საექვო ვალების რეზერვი		(936,715)	(678,753)
სხვა ხარჯები		(31,748)	-
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	11	(17,293,549)	(12,806,990)
ფინანსური შემოსავალი		1,347,161	8,370,151
ფინანსური ხარჯი		25,566	-
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი)		(767,645)	(437,600)
მოგება დაბეგვრამდე		(417,238)	(2,345,320)
მოგების გადასახადის ხარჯი		187,844	5,587,231
წლის მოგება		-	-
		187,844	5,587,231
მათ შორის:			
მფობელებზე		159,667	4,751,622
უმცირესობის წილი		28,177	835,610
სულ		187,844	5,587,232
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		187,844	5,587,232

კონსტანტინე მარდალუიშვილი

დირექტორი



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-31 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს ფარმაქსი
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სხვა რეზერვები	მისაკუთვნ ებული მფლობელ ებისთვის	არამაკონტრ ოლებელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	2,000	24,631,230		24,633,230	(2,239,692)	22,393,538
წლის მოგება		4,751,621	-	4,751,621	835,610	5,587,231
მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,751,621	-	4,751,621	835,610	5,587,231
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,000	29,382,851	-	29,384,851	(1,404,082)	27,980,769
წლის მოგება	-	159,667		159,667	28,177	187,844
მთლიანი სრული შემოსავალი	-	159,667	-	159,667	28,177	187,844
კაპიტალის ზრდა	1,537,357	-	-	1,537,357	-	1,537,357
სხვა რეზერვები	-	-	(12,057,824)	(12,057,824)	-	(12,057,824)
ოპერაციები მფლობელებთან	1,537,357	-	(12,057,824)	(10,520,467)	-	(10,520,467)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	1,539,357	29,542,518	(12,057,824)	19,024,051	(1,375,905)	17,648,146

კონსტანტინე მარდალავიშვილი

დირექტორი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-31 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს ფარმაქსი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სხვა რეზერვები	მისაკუთვნ ებული მფლობელ ებისთვის	არამაკონტრ ოლებელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	2,000	24,631,230		24,633,230	(2,239,692)	22,393,538
წლის მოგება		4,751,621	-	4,751,621	835,610	5,587,231
მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,751,621	-	4,751,621	835,610	5,587,231
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერისთვის	2,000	29,382,851	-	29,384,851	(1,404,082)	27,980,769
წლის მოგება	-	159,667		159,667	28,177	187,844
მთლიანი სრული შემოსავალი	-	159,667	-	159,667	28,177	187,844
კაპიტალის ზრდა	1,537,357	-	-	1,537,357	-	1,537,357
სხვა რეზერვები	-	-	(12,057,824)	(12,057,824)	-	(12,057,824)
ოპერაციები	1,537,357	-	(12,057,824)	(10,520,467)	-	(10,520,467)
მფლობელებთან						
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერისთვის	1,539,357	29,542,518	(12,057,824)	19,024,051	(1,375,905)	17,648,146

კონსტანტინე მარდალავიშვილი

დირექტორი



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-31 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს ფარმაქსი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	187,844	26,357,858
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	936,715	5,224,899
ფინანსური ხარჯები	767,645	437,600
ფინანსური შემოსავალი	(25,566)	956,840
კურსთაშორის სხვაობისგან მიღებული მოგება/(ზარალი)	417,238	2,345,320
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	2,283,876	35,322,517
ცვლილება მარაგებში	2,597,025	(1,658,109)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	39,142,829	(661,302)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	2,010,286	(486,166)
ცვლილება მიმდინარე საგადასახადო აქტივებში	-	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	46,034,016	32,516,940
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი პროცენტი	(767,645)	(1,394,440)
მიღებული პროცენტი	25,566	956,840
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	45,291,937	32,079,340
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გასვლა	-	4,720,771
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,292,744)	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(111,346)
არამატერიალური აქტივების გასვლა	518,474	-
სხვა აქტივები	(3,597,597)	(37,458,213)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(4,371,867)	(32,848,788)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების დაფარვა	(34,465,503)	(3,768,749)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,537,357	-
სხვა	(12,125,097)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(45,053,243)	(3,768,749)
ფულადი სახსრების წმინდა შემცირება	(4,133,173)	(4,538,197)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,788,784	9,655,015
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(417,238)	(328,034)
ფულადი სახსრების წლის ბოლოს	238,373	4,788,784

კონსტანტინე მარდალეიშვილი

დირექტორი

შპს ფარმაქსი
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2023 წელი	2022 წელი
მოგება დაბეგვრამდე		
კორექტირებები:	187,844	26,357,858
ცვეთა და ამორტიზაცია		
ფინანსური ხარჯები	936,715	5,224,899
ფინანსური შემოსავალი	767,645	437,600
კურსთაშორის სხვაობისგან მიღებული მოგება/(ზარალი)	(25,566)	956,840
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	417,238	2,345,320
ცვლილება მარაგებში	2,283,876	35,322,517
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	2,597,025	(1,658,109)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	39,142,829	(661,302)
ცვლილება მიმდინარე საგადასახადო აქტივებში	2,010,286	(486,166)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-	-
	46,034,016	32,516,940
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი პროცენტი		
მიღებული პროცენტი	(767,645)	(1,394,440)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	25,566	956,840
	45,291,937	32,079,340
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გასვლა	-	4,720,771
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,292,744)	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(111,346)
არამატერიალური აქტივების გასვლა	-	-
სხვა აქტივები	518,474	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(3,597,597)	(37,458,213)
	(4,371,867)	(32,848,788)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების დაფარვა		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(34,465,503)	(3,768,749)
სხვა	1,537,357	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(12,125,097)	-
	(45,053,243)	(3,768,749)
ფულადი სახსრების წმინდა შემცირება	(4,133,173)	(4,538,197)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,788,784	9,655,015
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(417,238)	(328,034)
ფულადი სახსრების წლის ბოლოს	238,373	4,788,784

კონსტანტინე მარდალეიშვილი

დირექტორი



შპს ფარმაქსი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-31 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს ფარმაქსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფარმაქსი“ (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2001 წელს. კომპანიის მუშაობის ძირითადი მიმართულებებია სამედიცინო ლაბორატორიების და სისხლის ბანკების მომსახურება - ჭიპლარის სისხლის აღება და შენახვა. კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების შესაბამისად.

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

		წილის ფლობა			
დასახელება	საქმიანობის ქვეყანა	31.12.2023	31.12.2022	შვილობილი	საქმიანობა
შპს ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი	საქართველო	100%	100%	შვილობილი	სამედიცინო მომსახურება
შპს ალელი	საქართველო	50%	50%	შვილობილი	სამედიცინო მომსახურება
შპს ნიუ ლაიფ პლიუს	საქართველო	75%	75%	შვილობილი	სამედიცინო მომსახურება
შპს სხივური მედიცინის ცენტრი	საქართველო	60%	60%	შვილობილი	სამედიცინო მომსახურება
შპს მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი - რუსთავი	საქართველო	100%	100%	შვილობილი	სამედიცინო მომსახურება

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის და მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა არის შემდეგი:

	31.12.2023	31.12.2022
გიორგი ლოლაძე	30%	30%
ელენე ხვედელიძე	30%	30%
გიორგი ხატელიშვილი	20%	20%
ზურაბ დაბრუნდაშვილი	5%	5%
დავით ღვინიაშვილი	5%	5%
დავით ბახტურიძე	5%	5%
ლევან კალმახელიძე	5%	5%

კომპანიის დირექტორი არის კონსტანტინე მარდალეიშვილი.

2 მომზადების საფუძველი

2.1 ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც აღრიცხულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

2.4 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში “ქართული ლარი”), როგორც ვალუტა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული), რადგან მენეჯმენტი თვლის, რომ ეს ვალუტა უფრო სასარგებლოა თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

2.5 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე საანგარიშგებო პერიოდისთვის, აგრეთვე შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 4.1 შენიშვნაში. ეს შეფასებები ემყარება მენეჯმენტის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან და თავდაპირველი შეფასებები და ვარაუდები შეიცვლება საჭიროებისამებრ იმ წელს, როდესაც გარემოებები შეიცვლება.

2.6 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა ("IASB") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს ("IFRIC") მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2023 წლის 1 იანვრიდან.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ცვლილებები ბასს 8-ში - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - სააღრიცხვო შეფასების განმარტება
- ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს პრაქტიკის განმარტება 2 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - სააღრიცხვო პოლიტიკის ასახვა განმარტებით შენიშვნებში;
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - ერთჯერადი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაბაგვრა მოგების გადასახადით პილარ 2 მიდგომით.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ფასს 16-ში - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვებში უკუიჯარის პირობებით;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიკაცია შეზღუდვებით/კოვენანტებით;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები;
- ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში - ინვესტორის მიერ აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3.1 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებულ შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და

- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიაჩნდება იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგომ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური აქტივი, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

3.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 4.0233 (2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677 ლარი, ერთი ევრო 3.2095). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკუროს სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს დროის კონკრეტულ მომენტში ან დროთა განმავლობაში სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

საოპერაციო შემოსავალი:

კომპანიის ძირითადი შემოსავლები შედგება სამედიცინო მომსახურებისგან.

3.4 იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარის ხელშეკრულების მიხედვით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტი. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული

საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

3.5 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

3.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც

დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას და მშენებარე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში „სხვა ხარჯების“ მუხლში.

ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს:

შენობა-ნაგებობები	30-40 წელი
სამედიცინო აპრატურა	5-15 წელი
სხვა	4-15 წელი
მიწის ნაკვეთები	არ იცვითება

3.7 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც შეადგენს 10 წელს, პროგრამული უზრუნველყოფისათვის.

3.8 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი

მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანულირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანულირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება.

ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად. გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.10 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

3.11 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

3.12 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაფერისია).

ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირებისთვის განსაზღვრული და გამოყენებული აქტივებისა,

შპს ფარმაქსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI ან (FVTPL) .

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების უმეტესობა, ისევე როგორც, ბასს 39-ის მიხედვით, ფლობისთვის განსაზღვრულად კლასიფიცირებული ობლიგაციები, ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალს ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემიტირებადი აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

შპს ფარმაქსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულებების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან ვადაგადაცილების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები

აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. შემდგომში, საიჯარო ვალდებულებები ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით.

3.13 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშშორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.14 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

3.15 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

3.16 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

(ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;

(ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

4.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღერებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ფარმაქსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

5 ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთი	შენობა- ნაგებობები	სამედიცინო აპარატურა	სხვა	სულ
თვითღირებულება					
1-იან-22	938,759	8,627,883	38,554,178	2,036,277	50,157,097
შემოსვლა	-	-	-	-	-
გასვლა			(4,500,909)	(59,833)	(4,560,742)
31-დეკ-22	938,759	8,627,883	34,053,269	1,976,444	50,157,097
შემოსვლა	-	-	1,151,005	834,515	1,985,520
31-დეკ-23	938,759	8,627,883	35,204,274	2,810,959	47,581,875
დაგროვილი ცვეთა					
1-იან-22	-	(2,041,236)	(22,094,697)	(1,094,818)	(25,230,751)
წლის ცვეთა	-	(43,980)	-	(116,050)	(160,030)
31-დეკ-22	-	(2,085,216)	(22,094,694)	(1,210,868)	(25,390,778)
წლის ცვეთა	-	(43,980)	(1,474,461)	(111,050)	(1,629,491)
31-დეკ-23	-	(2,129,196)	(23,569,155)	(1,321,918)	(27,020,269)
საბალანსო ღირებულება					
31-დეკ-22	938,759	6,542,667	11,958,575	765,576	20,205,577
31-დეკ-23	938,759	6,498,687	11,635,119	1,489,041	20,561,606

ცვეთის ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

6 გაცემული სესხები

კომპანიას გაცემული აქვს სესხები დაკავშირებულ მხარეებზე, რომლებიც დაფარულ იქნება 2024 წლის 31 დეკემბრადე. გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთები შეადგენს 10-15%-ს.

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-Dec-23	31-Dec-22
ფინანსური		
სავაჭრო მოთხოვნები	11,351,943	39,294,631
სხვა	21,828	18,283
რეზერვი	(515,596)	(483,848)
არაფინანსური	-	-
ავანსები	1,720,573	1,395,964
სხვა	9,156,558	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21,735,306	40,225,030

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებასთან.

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადახადო აქტივი სრულად დაბრუნებადია.

სავაჭრო მოთხოვნები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 13(ა)-ში.

8 ფული და ფული ეკვივალენტები

	31.დეკ.23	31.დეკ.22
ფული სალაროში	22,585	39202
ფული ბანკში	215,788	4,749,582
სულ ფულადი სახსრები	238,373	4,788,784

ფული და ფული ეკვივალენტები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 13(ა)-ში.

9 მიღებული სესხები

ჯგუფს მიღებული აქვს გრძელვადიანი სესხები საბანკო დაწესებულებებიდან. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მოკლევადიან ნაწილში წარმოდგენილია გრძელვადიანი საბანკო სესხების მიმდინარე ვალდებულებები.

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-23	31-დეკ-22
ფინანსური		
სავაჭრო ვალდებულებები	6,418,610	3,078,520
სხვა	232,062	254,215
არაფინანსური		
მიღებული ავანსები	6,477,025	7,784,676
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,127,697	11,117,411

სავაჭრო ვალდებულებები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 13(ა)-ში.

11 სხვა ხარჯები

	2023 წელი	2022 წელი
კომუნალური გადასახადი	1,033,179.00	911,239
საკონსულტაციო მომსახურება	437,423	725,708
სხვა	4,697,086	(11,170,043)
სულ: სხვა ხარჯები	6,167,688	(12,806,990)

12 ფინანსური ინტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21,735,306	40,225,030
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	238,373	4,788,784
გაცემული სესხები	4,575,293	14,151,507
სულ ფინანსური აქტივები	26,548,972	59,165,321
ფინანსური ვალდებულებები	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება		
მიღებული სესხები	23,085,710	57,551,213
სავაჭრო ვალდებულებები	13,127,697	67,273
საიჯარო ვალდებულებები	-	67,273
სულ ფინანსური აქტივები	36,213,407	57,618,486

13 ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

13.1 საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

კომპანია ოპერაციების ნაწილს ახორციელებს ქართულ ლარში.

ქვედა ცხრილში მოცემულია კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობს უცხოური ვალუტის რისკს.

13.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკი დანავშირებულია მის ფინანსურ აქტივებთან, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან.

საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი უმნიშვნელოა, რადგან ფული განთავსებულია მხოლოდ მსხვილ, საიმედო ბანკებში.

კომპანიას არ აქვს რაიმე უზრუნველყოფები დებიტორულ მოთხოვნებზე. კომპანია არ ფლობს გირაოს ან უზრუნველყოფებს, არც სხვა ფინანსურ აქტივებზე (მაგ. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ბანკებში).

სავაჭრო მოთხოვნები

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება, როცა აღარ არსებობს მათი დაბრუნების გონივრული მოლოდინი.

a) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. კომპანია ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ლიკვიდურობის რისკის შეფასებისა და მართვის დროს, განსაკუთრებით მის ფულად რესურსებსა და სავაჭრო მოთხოვნებს. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვნად აღემატება ფულადი სახსრების გადინების მიმდინარე მოთხოვნებს. ფულადი ნაკადები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებიდან ყველა ხელშეკრულებით სრულდება 12 თვის განმავლობაში.

14 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება გამოშვებული კაპიტალისგან, რომელიც ეკუთვნის მშობელი კომპანიის მფლობელებს და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისაგან, რომელიც მოიცავს სესხებს, რომლებსაც იხილავთ შენიშვნა 9-ში.

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

შპს ფარმაქსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	17,648,146	27,980,769
მინუს: ნაღდი ფული და ფული ბანკში	(238,373)	(4,788,784)
კაპიტალი	17,409,773	27,980,769
მთლიანი კაპიტალი	17,648,146	27,980,769
სესხები	23,085,710	57,551,213
სრული ფინანსირება	40,733,856	85,531,982
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.43	0.33

15 გაუთვალისწინებელი გარემოებები

15.1 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

16 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს დედა კომპანია, კომპანიის მენეჯმენტი და სხვა დაკავშირებული მხარეები.

17 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდა ისეთი მოვლენა, რომელიც საჭიროებს გამჟღავნებას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ფარმაქსი

კონსოლიდირებული მმართველობის
ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერი

2023 წლის 31 დეკემბრს დამთავრებული წლისთვის, ჯგუფის მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენენ შპს ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი და შპს სხიური. შესაბამისად მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ინფორმაცია ამ ორი კომპანიის შესახებ.

საქმიანობის განვითარება შედეგები და მდგომარეობა

საქმიანობის აღწერა

შპს „ფარმაქსი“ არის თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული, უახლესი აღჭურვილობითა და მაღალკვალიფიცირებული პერსონალით დაკომპლექტებული სამედიცინო დაწესებულება, რომელიც ორიენტირებულია პაციენტებისთვის მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდებაზე.

„ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ (შემდგომში მარდალეიშვილის კლინიკა) თავისი აღჭურვილობით და საუკეთესოდ მომზადებული პერსონალით ზრუნავს პაციენტების ჯანმრთელობაზე. კლინიკა აღჭურვილია 52 საწოლით. კლინიკაში შესაძლებელია პაციენტებმა მიიღონ რიგი მაღალკვალიფიციური მომსახურება, როგორებიცაა:

- თავისა და კისრის სიმსივნეების მკურნალობა
- მამოლოგიური
- გინეკოლოგიური
- აბდომინური ქირურგია
- თორაკალური ქირურგია
- ქიმიოთერაპია
- თერაპია
- უჯრედული თერაპია
- რადიოლოგია
- რეანიმაცია
- ლაბორატორია
- ენდოკრინოლოგია
- კრიო ქირურგია
- ლაზერული ქირურგია
- ლაპარასკოპიული ქირურგია

„ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრში“ ასევე, წარმატებით ფუნქციონირებს გენომის კვლევის და დიაგნოსტიკის ცენტრი. აღნიშნული კვლევები ფართოდ გამოიყენება მთელს მსოფლიოში, რადგან მისი საშუალებით დგინდება გენეტიკური მუტაციები, ადამიანის წინასწარგანწყობა სხვადასხვა სახის ავთვისებიანი სიმსივნეების მიმართ. წერტილოვანი მუტაციები და ქრომოსომული დარღვევები ზუსტად ადგენენ სიმსივნის ბუნებას, იძლევიან დაავადების წარმოშობის და მიმდინარეობის პროგნოზს და უზრუნველყოფენ მაქსიმალურად ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას მკურნალობის პროცესში. ეს ზოგავს პაციენტის რესურსებს და ზრდის წარმატებული მკურნალობის ალბათობას.

2023 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ ჯამურად გაწეული სერვისების რაოდენობა შეადგენს 78 592, მათ შორის იყო გემიური ამბულატორიული სერვისები 73 743 და 4 849 სტაციონარული სერვისები. 2022 წელს კი ჯამურად გაწეული სერვისების რაოდენობა იყო 32 207, აქედან სტაციონარული სერვისები იყო 2 578 ამბულატორიული კი 29 630.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს მარდალეიშვილის კლინიკის ძირითადი შემოსავლის არხს, რომელშიც კომპანია პროგრამის დაწყების დღიდანვე არის ჩართული. პროგრამის პირველი ეტაპი დაიწყო 2013 წლიდან, რაც გულისხმობდა ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე მოსახლეობის მოცვას მინიმალური პაკეტით, პროგრამის მეორე ეტაპზე -

შპს ფარმაქსი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

ქართულ ლარში

გაიზარდა პროგრამული სამედიცინო სერვისების მოცულობა (ბაზისური პაკეტი). 2014 წლიდან პროგრამაში ინტეგრირდა მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევის პროგრამები. მარდალეიშვილის კლინიკა არ არის ჩართული საყოველთაო დაზღვევის გეგმიური ამბულატორიის ნაწილში.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშოს დაფინანსება ხდება სტაციონარულ დადგენილი ტარიფებით, ლიმიტებით ან ფაქტიური ღირებულების მიხედვით.

მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა და საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის ბაზრის მიმოხილვა

ჯანმრთელობის დაცვის ბაზარი საქართველოში საკმაოდ კონკურენტულია, ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 271 სამედიცინო დაწესებულება საერთო საწოლ ფონდით 15 909¹, აქედან თბილისში არის 127 სტაციონარული დაწესებულება საწოლფონდით 8 361², მარდალეიშვილის კლინიკი პროცენტული წილი მთლიან საწოლ ფონდში 0.62%.

კომპანია ოპერირებს თბილისში სადაც არსებული ბიზნესგარემო გამოირჩევა მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, ამასთან გამოხატულია სპეციფიკური კონკურენტული გარემო. აღნიშნულის გათვალისწინებით კომპანია სამედიცინო დაწესებულებებში ცდილობს უზრუნველყოს სამედიცინო და არასამედიცინო სერვისების მაქსიმალურად ფართო არჩევანის მიწოდება, რათა არ მოხდეს პაციენტის გადამისამართება ამათუიმ კონკურენტულ დაწესებულებაში. აღსანიშნავია, რომ მარდალეიშვილის კლინიკა ოპერირებს ონკოლოგიის მიმართულებით და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თავ კისრის ონკოლოგიური პაციენტების ძირითადი რაოდენობა მიმართავს მარდალეიშვილის კლინიკას.

საქართველოში არსებული საბაზრო მდგომარეობიდან გამომდინარე სამედიცინო დაწესებულებებისთვის არსებობს 3 ძირითადი შემოსავლის არხი:

- საყოველთაო დაზღვევის პროგრამა
- სადაზღვევო კომპანიები
- თვითდინება-შიდა სტანდარტი

ბაზარზე ძირითადი მომთამაშე არის სახელმწიფო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, სადაც განხორციელებული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლინიკების შემოსავალზე.

განვითარების გეგმები

მიუხედავად იმისა რომ, მარდალეიშვილის კლინიკას წლების განმავლობაში მყარად უჭირავს ონკოლოგიური მიმართულებით უპირატესობა, სხვა კლინიკებთან შედარებით, ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციის გამო, იგეგმება ცნობადობის გაზრდის პროექტები, როგორც არის რეკლამირება სხვადასხვა წყაროებში ასევე სხვადასხვა სხვადასხვა რეგიონებში უფასო კონსულტაციების მოწყობა უფრო აქტიურად, რაც ხელს შეუწყობს როგორც კომპანიის ცნობადობის გაზრდას, ასევე კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის მოსახლეობისთვის მაღალპროფესიონალური სამიდიცინო სერვისის.

კომპანიაში არსებული ფინანსური მაჩვენებლები აძლევს კომპანიას იმის შესაძლებლობას მუდმივად იზრუნოს მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლებაზე და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე.

შპს ფარმაქსი


კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

ქართულ ლარში

მომსახურების ხარისხის მაჩვენებლის ზრდისთვის იგეგმება, თანამშრომლების (ადმინისტრაციული და სამედიცინო პერსონალი) გადამზადება როგორც სამედიცინო ისე ადმინისტრაციული კუთხით, რაც მოიცავს ტრენინგებს/კონფერენციების და სხვა ღონისძიებების მოწყობას. მაგალითად:

- სამედიცინო მიმართულებით:
 - ახალგაზრდა ექიმების მივლინებას უცხოურ ონკოლოგიურ კლინიკებში
- ადმინისტრაციული მიმართულებით:
 - სერვისების, ინფრასტრუქტურის, საკადრო მართვის და სხვა რესურსების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა
 - თანამშრომლების ტრენინგება სხვადასხვა მიმართულებით

ორგანიზაციული სტრუქტურა



2017 წლის მაისში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ცვლილებებმა გამოიწვია სახელმწიფო პროგრამებიდან მიღებული შემოსავლების შემცირება ასევე გამოიწვია მომხმარებლის ქცევის შეცვლა და გარკვეულ წილად შემცირდა თანაგადახდებიც. თუმცა საბოლოოდ სახელმწიფოსგან შემოსავლის შემცირება 2017 წელთან შედარებით არ მომხდარა რადგან დამატა ახალი მაღალტექნოლოგიური სერვისები, მაგალითად კრიო და თერმო აბლაციები. რამაც თავის მხრივ გამოიწვია მარაგების წილის ზრდა შემოსავლებში რადგან ეს ოპერაციები ძვირადღირებულია, შესაბამისად მარჟა დაბალია.

სოციალური პასუხისმგებლობა

მარდალეიშვილის კლინიკა წლების განმავლობაში აქტიურად ცდილობს მოსახლეობას მიაწოდოს მაღალხარისხიანი მომსახურება.

დაავადების ადრეულად გამოვლენის მიზნით კლინიკა ანხორციელებს რიგ აქტივობებს, როგორიცაა : გასვლითი აქციები რეგიონებში და უფასო კონსულტაციები თბილისში.

კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს უსაფრთხო გარემოს მუშაობისთვის, ასევე ყველა თანამშრომელს რომელიც დაეუბნევა კერძო დაზღვევაში უფინანსებს პოლისი ღირებულების ნაწილს, მთელი ქსელის მასშტაბით.

დადგენილია ჰიგიენის და დეზინფექციის სტანდარტები, რომელზეც მუდმივად ხდება მუშაობა და ოპტიმიზაცია ხარისხის სამსახურის მიერ.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2018 წლის 8 სექტემბერს, "მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრის" ეგიდით და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა საერთაშორისო

შპს ფარმაქსი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

ქართულ ლარში

სიმპოზიუმი "ენდოსკოპიური ქირურგიისა და რეპროდუქციული მედიცინის ახალი მიმართულებები ონკოლოგიაში".

2018 წლის 8 სექტემბერს, სასტუმრო ჰოლიდეი ინში, "მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრის" ორგანიზებით, პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა თემაზე: "რეპროდუქციული მედიცინის ახალი მიმართულებები ონკოლოგიაში".

2019 წლის 13 აპრილს, თბილისი მარიოტში, ონკოლოგიაში პირველი რეგიონული კონფერენცია ჩატარდა, რომელიც ძუძუს, ფილტვის და კოლორექტული კარცინომის დიაგნოსტიკისა და უახლესი მეთოდებით მკურნალობის საკითხებს მიემდგნა.

2019 წლის 14-25 ივლისს, სასტუმრო "ოაზისში", "საქართველოს ექიმთა პოსტდიპლომური განათლების ასოციაციის" ორგანიზებით მე-18 პოლიპროფილური სამედიცინო კონფერენცია გაიმართა თემაზე "კლინიკური პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები".

2019 წლის 23 აგვისტოს, ქალაქ ბათუმში "მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრის" და "სხივური მედიცინის ცენტრის" ექიმებმა აჭარელ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს. "ტუმორ ბორდის" ფარგლებში წამყვანმა სპეციალისტებმა სიმსივნის დიაგნოზის მქონე პაციენტების მკურნალობის გეგმა და სტრატეგია განიხილეს. შეხვედრის ფარგლებში განისაზღვრა მათი მკურნალობის ინდივიდუალური გეგმა.

2019 წლის 13 ოქტომბერს "მარდალეიშვილის დიაგნოსტიკური ცენტრი", "მომა თბილისში" საქართველოში მოღვაწე ექიმებისთვის ატარებს სემინარს თემაზე "საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის MRT დიაგნოსტიკა და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმვა".

2019 წლის 16 ნოემბერს, სასტუმრო „შერატონ გრანდ მეტეხი პალასში“, „მარდალეიშვილის დიაგნოსტიკური ცენტრის“ ორგანიზებით საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა თემაზე: „რადიოლოგიური დიაგნოსტიკის თანამედროვე მიღწევები“. ღონისძიებაზე მოხსენებით წარსდგნენ მსოფლიოში წამყვანი სამედიცინო აპარატურის მწარმოებლის „General Electric“-ის წარმომადგენლები ამერიკიდან.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მარდალეიშვილის კლინიკისთვის რისკ გარემოებებს წარმოადგენენ შემდეგი საკითხები:

1. საკანონმდებლო ბაზის ხშირი ცვლილებები

კომპანია 2013 წლიდან მონაწილეობს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში. პროგრამაში მონაწილეობა ზოგადად ხორციელდება განაცხადის შევსების საფუძველზე, რომელიც კომპანიას ავტომატურად ავალდებულებს დაეთანხმოს და შესარულოს ნორმატიულ ბაზაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება. ცვლილებების პროექტი წინასწარ არ თანხმდება მიმწოდებელთან. ცვლილებები ხორციელდა მთელი რიგი მიმართულებებით:

- ადმინისტრირების წესების;
- სერვისების განფასების;
- სერვისების დაფარვების;
- პროგრამით მოსარგებლე კონტიგენტის ცვლილებების;
- საჯარიმო სანქციების;
- დოკუმენტბრუნვის;
- ელექტრონული საინფორმაციო სისტემების უზრუნველყოფის;
- და სხვა.

აღნიშნული ცვლილებებზე კომპანიამ უნდა მოახდინოს ოპერატიული რეაგირება. ეს პროცესები დიდ რისკს უქმნის რეგიონული კლინიკებს.

2. საკანონმდებლო ბაზის ბუნდოვანი და ორაზროვანი ჩანაწერები

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესრულებას თან სდევს პროგრამის განმახორციელებლის მხრიდან რევიზია და კონტროლი, საკანონმდებლო ბაზის ბუნდოვანი და ორაზროვანი ჩანაწერები, რომელშიც ნათლად არ იკვეთება ჩანაწერის არსობრივი მხარე და იძლევა არასწორად ინტერპეტაციების საშუალებას ხშირ შემთხვევაში იწვევს არაობიექტური საჯარიმო სანქციების დაკისრებას. დაკისრებული სანქციების გაბათილება/შეჩერება/აღსრულება დაკავშირებულია ადამიანურ და ფინანსურ რესურსების მაღალ დანახარჯებთან.

3. შეუსაბამო საჯარიმო სანქციები არასამედიცინო და ტექნიკურ ხარვეზებზე

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესრულების პროცესში საკანონმდებლო ბაზით მოთხოვნილია მთელი რიგი პროცედურების ასახვა სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში, რომელთა დიდი ნაწილი არ უკავშირდება პაციენტის სამედიცინო მომსახურებას და არ ცვლის შემთხვევის შესახებ არსებით ინფორმაციას, კერძოდ პაციენტის დაწესებულებაში მისვლის, დრო, ფორმა, შეტყობინების დრო, პაციენტის გადახდის ქვითრის ნომერი და ა.შ. სწორედ ასეთი ტიპის ნებისმიერი გადაცდომა იწვევს არაადეკვატური საჯარიმო სანქციების დაკისრებას, როგორცაა მომსახურების სრული ღირებულების არ ანაზღაურება და ამავე მომსახურების სამმაგი ოდენობის ჯარიმა.

4. ჯარიმების აღსრულების მექანიზმები

პროგრამის განმახორციელებლის მხრიდან რევიზიის და კონტროლის განხორციელების შედეგად დაკისრებული ჯარიმის აღსრულებას, განმახორციელებელი იწყებს ჯარიმის დაკისრებიდან ერთ კალენდარულ თვეში მიუხედავად იმისა კომპანია ეთანხმება თუ არა დაკისრებულ საჯარიმო სანქციას.

5. ფინანსური რისკები

ფინანსური რისკებად განიხილება, საკრედიტო რისკი, საპროცენტო რისკი, სავალუტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

6. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დიდი წილი შემოსავლებში

შემოსავლები არხების მხედვით არ არის დივერსიფიცირებული, კომპანიის შემოსავლების 75% არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან, რაც ნიშნავს რომ ძირითადი შემოსავლის წყარო არის ერთი პირი, სახელმწიფო პროგრამა სადაც ხშირია ცვლილებები და აქედან გამომდინარე რთულია გრძელვადიანი პროგნოზების გაკეთება.

რისკების მართვა

ზემოთ ჩამოთვლილი საოპერაციო რისკების სამართავად კომპანია იყენებს სხვადასხვა გზებს. სახელმწიფო პროგრამის ნორმატიული ბაზით განსაზღვრული წესების დაცვისა და მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში შექმნილია არაერთი სტრუქტურული რგოლი:

- ფინანსური მართვის სამსახური
- ხარისხის მართვის სამსახური

ზემოთ ჩამოთვლილი სამსახურები ვალდებულია დროულად მიაწოდოს ინფორმაცია კლინიკის ადმინისტრაციას ახალი რეგულაციების შესახებ და მოსთხოვოს მათ სათანადო რეაგირება.

ფინანსური რისკების სამართავად კომპანია იყენებს: უცხოურ ვალუტაში აღებული სესხი გაცემულია უცხოურ ვალუტაშივე დამფუძნებელ კომპანიაზე შესაბამისი მარდალეიშვილის კლინიკის მაშტაბით საბანკო ვალდებულებებზე რისკი ამგვარადაა შემცირებული. აგრეთვე ფინანსური აქტივების მუდმივი მონიტორინგი, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ვადაგადაცილებების მიხედვით დაყოფა და კონტრაგენტების სორტირება იმის მიხედვით სახელმწიფოა ფიზიკური პირი თუ იურიდიული. სამომავლო ფულადი ნაკადების დაგეგმვა და მუდმივი ზედამხედველობა.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები არის მენეჯმენტის შეფასებით სრული, ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები აღარ საჭიროებს დამატებით განმარტებებს.

დირექტორი:

კონსტანტინე მარდალეიშვილი

შპს ფარმაქსი
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
ქართულ ლარში

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
არის მენეჯმენტის შეფასებით სრული, ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები აღარ
საჭიროებს დამატებით განმარტებებს.

დირექტორი:

კონსტანტინე მარდალუიშვილი

